პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (1616)
შაბათი
9
ივნისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXIX კონფერენცია

ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა მშრომელებმა გადამდე შესრულეს შვიდწლედის პირველ წლის პროგრამა და 1960 წლის პირველი დღეებიდანვე წარმატებით ეუფლებიან ახალ ზღუდეებს მრეწველობის მუშაობაში, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი ორგანიზაციის — თბილისის ორგანიზაციის 51.872 კომუნისტი საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას ეგებება მჭიდროდ შეკავშირებული კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ურყევ იდეურ ერთიანობას მკაფიოდ მოწმობს 8 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გახსნილი საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXIX კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.** კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ათასზე მეტი დელეგატი და სტუმარი — მუშები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული, სამხედრო მუშაკები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

კონფერენცია ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს — საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სამდივნოს.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

დამტკიცდა დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში.
2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა,

ბ) სარევიზიო კომისიისა,

გ) საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის დელეგატებისა.

სიტყვა მოხსენებისათვის 1958–1959 წლების პერიოდში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ეძლევა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **გ. ა. გეგეშიძეს.**

მომხსენებელი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, რაც მიღწეულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტის შედეგად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძალისა და ძლიერების ზრდასა და განმტკიცებაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში დიდი წარმატებანი მოიპოვა აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკამ. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ყურადღებასა და დახმარებას, რომლებიც განუხრელად და თანამიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, განუწყვეტლივ ზრუნავენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის აყვავებისათვის.

— თბილისის პარტიული ორგანიზაციის მთელი მუშაობა განვლილ ორ წელს, — აღნიშნავს ამხ. გეგეშიძე, — განისაზღვრებოდა იმ ამოცანებით, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებასთან, 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის გეგმის უთუო განხორციელებასთან. იგი შეეხო ქალაქის მრეწველობის მუშაობის შედეგებს და მისი შემდგომი განვითარების ამოცანებს.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ყრილობისა, რომელმაც გვამცნო ჩვენი ქვეყნის შესვლა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, შინაგაზრვრების მობილიზაციის, საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქციის წარმოება. თუ საერთო პროდუქციის მატება 1957 წელს უდრიდა 5 პროცენტს, ხოლო 1958 წელს — 8,2 პროცენტს, განვლილ 1959 წელს იგი შეადგენდა უკვე 13 პროცენტს.

ქალაქის მრეწველობის სტრუქტურაში სერიოზული თვისებრივი ძვრები მოხდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე ინდუსტრიის ხვედრითი წონა, რომელმაც უკანასკნელ ორ წელიწადში 20 პროცენტით გაადიდა თავისი პროდუქცია, ხოლო მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების რიცხვი თითქმის 5.000 კაცით გაადიდა. ელექტროტექნიკური მრეწველობის ახლად შექმნილმა საწარმოებმა ათთვისეს და უშვებენ რვაღერძიან მაგისტრალურ ელმავლებს, შემდუღებელ გარდამქმნელებს, ამწეებს ელექტროძრავებს, მაკრომრავებს, სიჩქარისმზომებს, საიზოლაციო მასალებს. ახალ ხასიათთა სამრეწველო პროდუქციის უშვებს აგრეთვე თბილისის ბევრი სხვა ქარხანა და ფაბრიკა.

ქალაქის საწარმოების მიერ უახლესი ჩარხების, მანქანებისა და ხელსაწყოების შექმნა და ათვისება შედეგი იყო წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდისა, რაც გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ტექნიკური პროგრესის შესახებ, აგრეთვე ახლად შექმნილი სამრეწველო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ნაყოფიერი საქმიანობისა.

მოხდა საწარმოთა სერიოზული ტექნიკური ხელახლა შეიარაღება. ორი წლის მანძილზე მწყობრში ჩადგა 94 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, დადგმულია 253 ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხი, მანქანა და აგრეგატი. ცდილობდნენ რა გაემრავლებინათ თავიანთი წვლილი შვიდწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებაში, საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების დაგალება, მისცეს ჩვენს ქვეყანას 130 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება, შეიტანეს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 17,4 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ნაკლური ვალდებულებით.

შეეხო რა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის და ქალაქის სხვა მოწინავე საწარმოთა მიღწევებს, მომხსენებელმა ამასთან ერთად გააკრიტიკა ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის მრეწველობის მუშაობაში და საქალაქო კომიტეტის, რაიკომებისა და პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობაში მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ხელმძღვანელობის დარგში.

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია მთელი რიგი საწარმოების მიერ 1959 წლის საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა. მათ რიცხვს ეკუთვნიან პლასტმასების ქარხანა, ქარხნები „ელექტროგამშვები“, „თბილგაზაპარატი“. მაკარონის ფაბრიკა და ზოგიერთი სხვა საწარმო. ამაში გარკვეული როლი შეასრულა ცუდმა დაგეგმვამ, არადამაკმაყოფილებელმა მატერიალურ-ტექნიკურმა მომარაგებამ, სპეციალიზაციისა და კოოპერირების სუსტმა ორგანიზაციამ. მაგრამ საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების არაოპერატიული მუშაობა.

ჯერ კიდევ ირღვევა პროდუქციის დადგენილი ასორტიმენტი. მაგალითად, კიროვის სახელობისა და სახეხი ჩარხების ქარხნებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების გამოდევნებაში ჩვენს ქვეყანას დააკლეს ფრიად საჭირო სახეობათა ჩარხები.

ქალაქის მრეწველობის ზრდის უდიდესი რეზერვია მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესება. მაგალითად, მისი გამოყენების კოეფიციენტის გადიდება 0,75-0,85-დან საშუალოდ 0,95-მდე საშუალებას მისცემს ქალაქის მრეწველობას დამატებთ მიიღოს იმდენი პროდუქცია, რამდენსაც მოგვცემდა ექვსი ჩარხსამშენებლო ქარხანა. დიდ რეზერვებს შეიცავს აგრეთვე ცვლების გადიდება.

შვიდწლედის მეორე წლის გაზრდილი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასების შემოქმედებითი აქტივობა, ყოველ ღონისძიებით განვავითაროთ წარმოების ნოვატორთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა, მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის ინიციატივა. კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების პატრიოტულ მოძრაობას, ვალენტინა გაგანოვას შესანიშნავი თაოსნობის ზიმდევართა მოძრაობას კიდევ უფრო მეტი გაქანება უნდა მიეცეს, მათ აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამხ. გეგეშიძე ეხება ნაკლოვანებებს სამრეწველო მშენებლობის დარგში, რომლის გეგმები ორი წლის განმავლობაში არ სრულდება. ისეთი საწარმოების რეკონსტრუქციის სამუშაოები, როგორიც არის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, სახეხი ჩარხების ქარხანა და ზოგიერთი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘᲡ, Ფ. Რ. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ე. Ა. ᲤᲣᲠᲪᲔᲕᲐᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲜᲔᲞᲐᲚᲨᲘ

მისი უდიდებულესობის ნეპალის მეფის მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევისა და ნეპალის მთავრობის მიწვევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ა. ფურცევა მათი თანმხლები ოფიციალური პირების ჯგუფთან ერთად 1960 წლის თებერვლის დამდეგს ვიზიტით ჩავლენ ნეპალის სამეფოში.

საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების მომავალი გამგზავრება ნეპალში იმის საპასუხო ვიზიტი იქნება, რომ საბჭოთა კავშირს 1958 წლის ზაფხულში ეწვივნენ მათი უდიდებულესობანი ნეპალის მეფე და დედოფალი და სხვა ნეპალელი მოღვაწენი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ Გ. Პ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, მიენიჭოს მხატვარ **გრიგოლ პართენის-ძე მესხს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქ. თბილისი. 1960 წლის 8 იანვარი.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1960 წლის 7 იანვარს, 77 წლის ასაკში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, თვალსაჩინო მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ-ᲫᲔ ᲑᲐᲠᲓᲘᲜᲘ.**

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ — **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ**

მწველავი ქალიშვილი წილკანიდან

დოდო ქიტუაშვილი, მისი მეგობრები და მათი შესანიშნავი გამოცდილება

კოლმეურნეობის კანტორიდან ქალიშვილები აჩქარებით გამოვიდნენ. ისინი ერთმანეთს გაკვირვებით შესცქეროდნენ, ნუთუ ხვალ თბილისში რესპუბლიკური აქტივის კრებას დაესწრებითო.

— გესმის, დოდო, მოწინავეებად გვაღიარეს, სიტყვით გამოხვალ?

— არა, ვერაფერს ვერ ვიტყვი.

— როგორ, მოემზადეო, აკი გითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ!

— არ შემიძლია! — კატეგორიულად თქვა დოდომ, გული უცნაურად უცემდა, სიტყვით ჯერ არსად არ გამოსულა.

— სიტყვა მაინც მოამზადე, — ურჩია მეგობარმა.

...დოდო ჩაფიქრებული შევიდა ოთახში, საწერ მაგიდას მიუჯდა და... აი რა დაწერა:

„ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როცა ჩემი და მერი კოლმეურნეობაში უკვე ცნობილი მწველავი იყო. მან 1957 წელს თვითეულ ძროხაზე 3.500 ლიტრი რძე მიიღო. მაშინდელი დროისათვის ეს მატარა მაჩვენებელი როდი იყო. რესპუბლიკის გაზეთები ალაპარაკდნენ. მე მიხაროდა, ჩემი დის ქებას რომ გკითხულობდი. აქედან ჩამესახა ამ პროფესიის სიყვარული, ვოცნებობდი გავმხდარიყავი მწველავი. მეათე კლასში რომ ვიყავი, სწავლისაგან თავისუფალ დროს მეცხოველეობის ფერმაში მივდიოდი და ჩემს დას ვშველოდი. პირველ ხანებში ახლოს არ მაკარებდა ძროხებს, „გამიწყრებიან“ და რძეს აღარ მომცემენო. მერი თვითეულ ძროხას თვალებში შესცქეროდა, ეალერსებდა ისე, თითქოს საკუთარი შვილი ყოფილიყოს, თვითეულ მათგანს აკვირდებოდა, რა საჭმელი სწყინდა და რა უხდებოდა. ერთი უცნაური ძროხა ყავდა, სახელად „წაბლა“. თუ მერი სიმღერას არ დაიწყებდა, რძეს არ აძლევდა.

პირველ ხანებში, როცა ჩემს დას მუშაობაში ვშველოდი, ძროხებმა რძის მოცემა შეამცირეს. მაშინ მივხვდი, რომ მიუცხოვეს. ძროხების მოვლა-პატრონობის ბევრი საიდუმლო ვისწავლე ჩემი დისაგან, ვისწავლე, რომ მწველავი უნდა იყოს ჩაცმული სუფთად, ასევე სუფთად და კოპწიაად ინახავდეს ძროხებს და მათს სადგომს.

1957 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი თანაკლასელები ლილი გულაშვილი, ნუნუ ქავთარაძე, ანა ჭალელიშვილი მეძროხეობის ფერმაში წავედით სამუშაოდ. მას შემდეგ სიყვარულით ვემსახურებით ამ საქმეს, ყოველდღიურად ვსწავლობთ და ვეუფლებით მოწინავე მწველავების გამოცდილებას.

ძრობა გონიერი და სათნო პირუტყვია, მაგრამ რაც უფრო მეტს დაფუსფუსებ მის გარშემო, ასუფთავებ, ეალერსები, გემრიელ საკვებს უმზადებ, მით უფრო გეჩვევა და უხვად იძლევა რძეს.

ტუუილად კი არ არის ნათქვამი, ძროხას რძე ენაზე აქვსო. საკმარისად მისცემ ნოყიერ საკვებს, ისიც დიდი რაოდენობით მოგცემს ნოყიერ რძეს. მთავარი კიდევ ის არის, რომ გონივრულად იქნას შედგენილი კვების ყოველდღიური რაციონი. ამ საქმეში დიდად დამეხმარა ფერმის გამგე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ავთანდილ ლაშაური. იგი ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს მიღებული, ფერმის მუშაკებს მზრუნველობას როდი გვაკლებს. ჯერ გულდასმით მოიხმენს ჩვენს შენიშვნებს, შემდეგ კი საქმიან რჩევა-დარიგებას მოგცემს და, თუ საჭიროა, კიდევაც დაგვუფუძნავს.

ძროხის მოვლის რეჟიმი ასეთია:

პირველი წველა იწყება დილის ექვს საათზე. წველის წინ ნელთბილი სველი ტილოთი ხამჯერ ვუკეთებთ ცურის მასაჟს. შემდეგ იწყება წველა. წველას რომ დავამთავრებთ, ვაძლევთ ერთ კილოგრამ კომბინირებულ საკვებს, 30 კილოგრამ სილოსს, 25 კილოგრამ ჭარხალს. კვება გრძელდება 10 საათამდე. შემდეგ ძროხები სასეირნოდ გამოგვყავს, წყალს ვასმევთ, საათნახევრის სეირნობის შემდეგ კვლავ ბაგეებში შეგვყავს. პირველ საათზე იწყება მეორე წველა. წველის შემდეგ ვაძლევთ კვების იმავე რაციონს. საღამოს 8 საათზე ვიწყებთ მესამე წველას. კვების რაციონი მაშინაც იგივეა. 23 საათიდან დილის 4 საათსა და 30 წუთამდე ძროხები ისვენებენ...“

და ასე გვიანობამდე უჯდა დოდო მაგიდას და წერდა. იგი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე სიტყვით არ გამოსულა, მაგრამ რაც უნდა ეთქვა, ნაწილობრივ გაგაცანით.

მცხეთის რაიონში კარგად იცნობენ წილკნელ მწველავს დოდო ქიტუაშვილს როგორც სიტყვაძუნწ ქალიშვილს. სამაგიეროდ მის შესახებ მოგვითხრეს მწველავებმა, ფერმის გამგემ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

თავდადებული შრომით კომკავშირელმა გოგონამ ჯერ კიდევ შარშან მოიპოვა საპატიო სახელი. მისთვის მოსავლელად მიჩენილი ათი ძროხიდან თვითეულზე 5.700 ლიტრი რძე მიიღო. ეს ადვილად ითქმის, სახელოვანი მწველავი კი მთელი წლის განმავლობაში დაძაბულად შრომობდა, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ძროხებისადმი, თვალზე რული არ ეკარებოდა, მოგვიანებით ბრუნდებოდა სახლში და უთენია ჩადიოდა ფერმაში. იგი მაშინ უფრო ფრთხილობდა, როცა ძროხა იმაკებდა. ამ დღეებში ძროხას დღეში ხუთჯერ წველიდა, რომ ცური არ დამახინჯებოდა, სომსივნე არ გასჩენოდა...

ენერგიული ქალიშვილი გულისხმიერად აკვირდება თვითეულ ძროხას, თუ სისუსტე შეამჩნია, უმალ ვეტფერშალი მოჰყავს...

წილკანი. ამ პატარა სოფელში, რომელიც კავკასიონის ფერდობზეა შეფენილი, ბევრი სახელოვანი მშრომელია. მწველავმა ლილი გულაშვილმა შარშან თვითეულ ძროხაზე 4.644 ლიტრი რძე მიიღო, მალახა გასანოვმა — 5.100 ლიტრი. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ნუნუ ქავთარაძეს, ანა ჭალელიშვილს, სადიკო ქავთარაძეს. კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმამ გასული სამეურნეო წელი დიდი წარმატებით დაამთავრა — 150 ძროხიდან თვითეულზე 3.200 ლიტრი რძე მიიღო. ამ წარმატებას წინ უძღოდა კოლმეურნეთა თავდადებული შრომა საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. შარშან დაამზადეს 3.700 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი, აგრეთვე 200 ტონა თივა, დიდი რაოდენობით უხეში საკვები, განსაზღვრელად აქვთ კომბინირებული საკვები, ჭარხლის ნახადი, ჭარხალი. ფერმის კოლექტივმა დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელების მიზნით იკისრა წელს თვითეულ ძროხაზე მიიღოს 3.500 ლიტრი რძე.

• • •

ზამთრის სუსხიანი დილაა. მსუბუქი ავტომანქანა თბილისისაკენ მიჰქრის. დოდო ქიტუაშვილი ზის მანქანაში და ფიქრობს, რა გავაკეთე ისეთი, რომ თბილისში რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებაზე მიმიწვიეს? მუტის გაკეთება შეიძლება, მეძროხეობის ფერმაში სრული წესრიგი რომ იყოს.

— რაო დოდო, გიძნელდება რაისა კოტთან ჭიდილი? —ჰკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

დოდოს ერთხანს პასუხი არ გაუცია, შემდეგ მიუბრუნდა და უთხრა:

— ვაჯობებ. ჩემი ძროხები რაისას ძროხებს აჯობებენ. განა არიცი, რომ ჯერ კიდევ შარშან „ლამაზამ“, „ჭრელამ“, „კაკალამ“ იმდენი რძე მოგვცეს, რამდენის მილებაც კოტმა წელს იკისრა...

— გასაგებია, — სიტყვა აღარ დაამთავრებინა თავმჯდომარემ. ყველაფერი გასაგებია. მეც ჩემს ვალდებულებას შევასრულებ. თუ შენ სოციალისტური შრომის გმირს, ქიტომირის ოლქის ემილჩინოს რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მწველავს რაისა კოტს გაუსწრებ, პირობას გაძლევ, რომ ჩვენი მეძროხეობის ფერმა რესპუბლიკაში სანიმუშო ფერმად გადაიქცევა.

დოდოს ეს სჯერა და ამისათვის იბრძვის...

Გ. ᲮᲔᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მწველავი დოდო ქიტუაშვილი.

★ ★ ★

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მცხეთის რაიონის სოფელ წილკანის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მოწინავე მწველავთა ჯგუფი (მარცხნიდან) სადიკო ქავთარაძე, ლილი გულაშვილი, მალუხა გასანოვა, ციცო ჭალელიშვილი, ნუნუ ქავთარაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



შეწუდა დაზგების ხმაური. საამქროს ვრცელ შენობაში ფეიქრები ერთმანეთს მხიარულად ეთხოვებოდნენ, მიიჩქაროდნენ გასასვლელისაკენ. გალინამაც ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მიყუჩებულ მანქანებს და კარს მიაშურა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ვრცელ ეზოში მეგობრებთან ერთად მიმავალ გალინას უკანიდან ლაპარაკი შემოესმა, იცნო მეორე ბრიგადის ქვეოსტატის კოტე მიქაბერიძის ხმა.



სურათზე: თბილისის XXIX საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ა. მარგველაშვილი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი ე. მეხრაძე, 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის ხარატი მ. აკოფოვი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის შიგმჩარხავი ხარატი პ. ზუბრიცკი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ნოვატორი

კონფერენციის დელეგატი

— არაფერი არ გამოდის ვერ იქნა და ბრიგადამ ვერ ააწყო მუშაობა. ერთ თვეს კარგად იმუშავებს, მეორე თვეს კი სამარცხვინოდ ჩამორჩება, მთელ საამქროს სწევს უკან, — ამბობდა ქვეოსტატი.

— რა იყო, სექტემბერი ცუდად დაამთავრეთ? — იკითხა ვიღაცამ.

— ცუდად! გეგმა 96,7 პროცენტით შევასრულეთ.

არ გაჰკვირვებია გალინა რაჭველიშვილს ქვეოსტატის წუხილი. მისთვის ახალი არ იყო ეს ამბავი. კარგად იცნობდა მთელ საამქროს, თვითეული ბრიგადის მუშაობას. ისიც იცოდა, რომ მეორე ბრიგადა ხშირად ვერ ასრულებდა გეგმას, უშვებდა წუნს. მაგრამ ამ საღამოს გაგონილმა მაინც რატომღაც ჩააფიქრა იგი.

„რატომ არ შეიძლება ბრიგადის გამოსწორება, რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?“ ეკითხებოდა თავის თავს გალინა. „იქნებ გამოცდილება აკლიათ, არ იცნობენ მოწინავე მეთოდებს?“ ფიქრობდა იგი.

კარგად ახსოვს გალინას ის დრო, როდესაც პირველად მოვიდა ფაბრიკაში. მაშინ ჯერ სულ ახალგაზრდა ფეიქარს ორი დაზგა ჩააბარეს. გაუჭირდა პირველად მუშაობა, მაგრამ სწორედ ძველი, გამოცდილი ფეიქრების დახმარებამ შეაძლებინა მას სწრაფად გადაელახა სიძნელენი, დაუფლებოდა ფეიქრის პროფესიას.

ქსოვის მოწინავე მეთოდებს დაუფლებული ფეიქარი მალე დაწინაურეს ინსტრუქტორად, ახლა იგი უკვე 31 დაზგას უწევდა მომსახურებას, თვითონ ზრდიდა ფეიქრებს, ასწავლიდა მათ ქსოვის ნოვატორულ მეთოდებს, თავიანთი საქმის სიყვარულს. უკვე ათ წელზე მეტია, რაც გალინა რაჭველიშვილი ინსტრუქტორად მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი საუკეთესო ფეიქარი აღუზრდია მას ფაბრიკაში.

წარმატებები კი ყოველდღიურად იზრდებოდა. მეცხრე ბრიგადა, სადაც გალინა მქსოველ-ინსტრუქტორად მუშაობდა, მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო.

მოწინავე ფეიქარი სხვებზეც ფიქრობდა. იგი ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სხვა ბრიგადების მუშაობას, ახარებდა მათი წარმატებები, აწუხებდა ჩავარდნები. და აი ახლაც დიდხანს ფიქრობდა ფეიქარი, თუ რით შეიძლებოდა დახმარებოდა მეორე ბრიგადას.

გალინამ აქაც იპოვნა გამოსავალი. მან გადაწყვიტა მიეგზავნა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობისათვის, გადასულიყო ჩამორჩენილ ბრიგადაში, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დახმარებოდა მქსოველებს.

ბრიგადაში სიხარულით შეხვდნენ ახალ ინსტრუქტორს. ქვეოსტატ კოტე მიქაბერიძესთან ერთად გალინამ დაწვრილებით შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები, გაეცნო თვითეული მქსოველის მუშაობის მეთოდებს. განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინა ინსტრუქტორმა ლიდა ეჯიბოვას, მარიამ ივიოტოვას და ანა იმნაძის მიმართ, რომლებიც ხშირად ვერ ასრულებდნენ დავალებებს. იგი მოთმინებით აცნობდა მქსოველს ნოვატორულ მეთოდებს, თავისი საკუთარი მაგალითით უჩვენებდა, თუ რისი გაკეთება შეუძლია საქმეს კარგად დაუფლებულ ფეიქარს.

ბრიგადას მალე დაეტყო ნოვატორი ფეიქრის ხელი. უკვე ოქტომბერში ბრიგადამ დავალება 105,5 პროცენტით შეასრულა. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ფეიქრებმა ნოემბერში და დეკემბერში, ხოლო წლიური დავალება 104 პროცენტით გაანაღდეს. ამავე დროს მქსოველებმა მკვეთ[illegible] ბარიბების აბრ[illegible] ბრიგადამ ყველა ფეიქარი გადა[illegible] ჭარბებით ასრულებს დავალებ[illegible] ბევრმა მათგანმა აითვისა შრომ[illegible] მოწინავე მეთოდები, რამაც გ[illegible] ნაპირობა ბრიგადის წარმატებ[illegible]

ნოვატორი ფეიქრის პატრიოტულ შრომას ყოველთვის სათ[illegible] ნადოდ აფასებდნენ ფაბრიკის კ[illegible] ლექტივი, საქართველოს მშრომ[illegible] ლები. დაუვიწყარია მისთვის [illegible] დღეები, როდესაც იგი მონაწ[illegible] ლეობას იღებდა კომუნისტურ[illegible] პარტიის ისტორიული XX ყრ[illegible] ლობის მუშაობაში. გასული წლ[illegible] გზაფხულზე გალინა აირჩი[illegible] საქართველოს სსრ უმაღლეს[illegible] საბჭოს დეპუტატად, ახლა [illegible] როგორც დელეგატი მონაწ[illegible] ლეობს თბილისის საქალაქო პარ[illegible] ტიული კონფერენციის მუშაო[illegible] ბაში.

კარგი საჩუქრით შეხვდა ნოვ[illegible] ტორი კონფერენციას. მაგრამ ი[illegible] შეჩერებას არ აპირებს. შვი[illegible] წლიდის ზღუდეებზე იერიში[illegible] გრძელდება. გალინას მტკიცე[illegible] აქვს გადაწყვეტილი თავის ბრ[illegible] გადასთან ერთად მუდამ მოიგ[illegible] რიშეთა პირველ რიგებში იყოს.

შ. ციბრეკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXIX კონფერენცია

(დასასრული)

სხვა, წლობით ჭიანურდება. მომხსენებელი აყენებს საკითხს, რომ გასხვილდეს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ქალაქში სამრეწველო მშენებლობას ახორციელებენ.

მოხსენებაში ათასობა რესპუბლიკის დედაქალაქის ინდუსტრიული ძლიერებისა და საქალაქო მეურნეობის შემდგომი ზრდა. მომხსენებელი ლაპარაკობს თბილისში ახალი საბინაო მშენებლობის ტემპის განუწყვეტელ ზრდაზე. მაგალითად, 1958-1959 წლებში ქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა 231 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — გაცილებით მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში ერთად. 1959 წელს მშენებლებმა ჩააბარეს 120 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი კვადრატული მეტრისა. მარტო 1960 წლის განმავლობაში ქალაქის საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 200 მილიონი მანეთი. ეს უდიდესი კაპიტალდაბანდებანი მშრომელთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად მყაფიოდ მოწმობს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის, საბინაო პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის.

მომხსენებელი ლაპარაკობს აგრეთვე მშენებლთა მუშაობის ნაკლოვანებებზე. მშენებლთა ნაწილში ჯერ კიდევ არის რწმენა, რომ შუა წელიწადში საცხოვრებელი სახლები შეიძლება ნელა ვაშენოთ, რადგან წლის ბოლომდე კიდევ ბევრი დროა. სამაგიეროდ წლის დამლევს იწყება აჩქარება, რის შედეგად საცხოვრებელ სახლებს ხშირად აბარებენ დიდი დეფიციტებით, ხოლო მათი ღირებულება მნიშვნელოვნად იზრდება. მშენებლობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ ნელა ინერგება ინდუსტრიული მეთოდები, მსხვილი ბლოკები, დიდი ზომისა და მსუბუქი წონის კონსტრუქციები. ასაწყობი ნაკეთობანი, რომლებიც გამორიცხავენ ბათქაშს.

ქალაქში დიდი გაჭანება მიეცა ახალი მაგისტრალების გაყვანის, ჭიჩებისა და მოედნების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს. მაგრამ ეს სამუშაოები ყოველთვის ხარისხიანად როდი სრულდება. მომხსენებელი ახასიათებს მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონეს და ლაპარაკობს თბილისის წყალმომარაგებისა და ენერგომომარაგების გაუმჯობესებაზე. იგი ხაზს უსვამს გაზიფიკაციის დიდ როლს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში. თბილისის მთელი რიგი საწარმოები და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც 26 კომისრის რაიონში მდებარეობენ, უკვე გადაყვანილია გაზის საბობზე. მაგრამ წინ დიდი სამუშაო მოგველის. ქალაქს გაზიფიკაციასა და თბოფიკაციას კვლავაც ყოველდღიურად უნდა მივაქციოთ ყურადღება.

როგორი იქნება საქართველოს დედაქალაქი 1960 წელს? რა ახალშენებები აიგება? ეს საკითხები დაწვრილებით აისახა მოხსენებაში.

დიდმა მასივზე, სადაც დაიწყება ფართო საბინაო მშენებლობა, მთავრდება ახალი კეთილმოწყობილი მაგისტრალის გაყვანა. დაიწყო ავლაბრის გზატკეცილის მშენებლობა, რომელიც მიავა ფოლადთუჯსაშსმელო ქარხნის მუშაობა დამამდე. 1 მაისის დღესასწაულისათვის დამთავრდება ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალის — შაუმიანის ჭიჩის გაგრძელების მშენებლობა, რომლის სიგრძე დაახლოებით 3 კილომეტრია. ინტენსიური მუშაობა იწარმოებს სანაპიროთა მშენებლობაზე. მარცხენა ნაპირზე სანაპირო მიავა დიდუბის ხიდამდე, ხოლო მარჯვენა ნაპირზე — მეტეხის ხიდიდან ხიდ-აკადემიამდე, რომელიც ორთაჭალაში შენდება.

დიდმნიშვნელოვანი მშენებლობაა სპორტის სასახლე საბურთალოში 10 ათასი მაყურებლისათვის. ქალაქის ნამდვილი არქიტექტურული მშენებლა იქნება ისეთი ნაგებობანი, როგორიც არის ტელევიზიის შენობა ლენინის ქუჩაზე, ორასბინიანი საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე, სასტუმროები „ინტურისტი“ და „საკოლმეურნეო“, საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, პანორამული კინოთეატრი, ცენტრალური უნივერმაღი. ზოგიერთი მთგანის მშენებლობა დამთავრდება, ხოლო სხვებისა დაიწყება მომდინარე წელს. დაიწყო სამუშაოები „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციისათვის, რაც შესაძლებელს გახდის დიდად გადიდდეს ადგილების რიცხვი.

ყველა ამ მშენებლობასთან ერთად ძირითადი და მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საბინაო მშენებლობის შემდგომ ინტენსიურ განვითარებას. 1960 წელს უნდა აშენდეს 130 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, — განაგრძობს ამხ. გეგეშიძე. — რომ უკვე მომდინარე წელს, საქართველოს სსრ 40 წლისთავის წინ უზრუნველვყოთ იმ მშრომელთა შესახლება კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც ახლა განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში ცხოვრობენ.

მომხსენებელი ახასიათებს ქალაქის ახალი რაიონის—სამგორის რაიონის მშრომელთა წარმატებებს. აბრძვიან რა სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მათ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. მაგრამ იმისათვის, რომ სამგორის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უხვად უზრუნველყონ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. საჭიროა მნიშვნელოვნად გაადიდონ მიდვრების, ბაღების, ბოსტნების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

ამხ. გეგეშიძე ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ამოცანები აკისრია ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. იგი ამბობს, რომ გაძლიერდა პარტიული მასების აქტივობა, აღნიშნავს, თუ რა კრიტიკა და თვითკრიტიკა გაიშალა საანგარიშგებო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე, რა წარმატებით მუშაობენ საწარმოებში შექმნილი პარტიული კონტროლის კომისიები. მეტმა წილმა პირველადმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუუჯობესეს მუშაობა. უფრო ხშირად იმართება ღია პარტიული კრებები, ამაღლდა კრებებისათვის მომზადების დონე, უკეთ არის მოწყობილი გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, გამოცოცხლდა პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა, ამაღლდა მათი როლი შედეგლდის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

როგორც საქართველოს აღკკ თბილისის ამსწრენანდელმა XXXII საქალაქო კონფერენციამ დაგვანახვა, რესპუბლიკის დედაქალაქის კომკავშრომა შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ჰაბუკთა და ქალიშვილთა დარაზმვაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად. საჭიროა გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშრომისადმი, დავეხმაროთ მას, რომ კიდევ უფრო გაუუჯობესოს მუშაობა მოზარდი თაობის აღსაზრდელად.

მომხსენებელი ეხება კადრების შერჩევასა და აღზრდას და ხაზს უსვამს, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ საკმაოდ კადრების აღზრდის ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიც კრიტიკა და თვითკრიტიკაა. ამის გამო იქმნება პირობები იმისათვის, რომ ზოგიერთი, ახლო წარსულში კარგი მუშაკი, ისცდენოდა სწორ გზას, გაყოყოჩებულიყო, უგულებელყოს საბჭოთა კანონები.

მომხსენებელი ახასიათებს პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობას ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში, აღნიშნავს, რომ მათი მუშაობის მთავარი შინაარსი იყო ღრმად განმარტათ სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი. პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები ცდილობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინათ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების კონკრეტულ ამოცანებთან. ამ საქმეში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები უკეთ უზრუნველყოფენ კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიოების პოლიტიკურ სწავლას, მეტ ყურადღებას უთმობენ პროპაგანდისტების შერჩევას, მათს თეორიულ მომზადებას და მეთოდური ოსტატობის ამაღლებას. ამაღლდა იდეური დონე და ორგანიზებულობა პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში.

მაგრამ პარტიული განათლების შინაარსსა და ორგანიზაციას ჯერ კიდევ ახასიათებს არაერთი სერიოზული ნაკლი. მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებათა თეორიულ შესწავლას ხშირად ცვლიან ან განყენებული თეორეტიზირებით, ან ფაქტების მშრალი ჩამოთვლით. არ უზრუნველყოფენ ამ ფაქტების საჭირო ანალიზსა და განზოგადებას. იშვიათი როდია, რომ პოლიტიკურ მეცადინეობას, განსაკუთრებით მომდინარე პოლიტიკასა და კონკრეტული ეკონომიკის წრეებში, ჩვეულებრივი პოლიტინფორმაციის ან საწარმოო თათბირის ხასიათი აქვს. ზოგიერთ პარტორგანიზაციაში პოლიტიკური თვითგანათლება თვითდინებაზეა მიშვებული.

რამდენადმე გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში წაკითხულია 29.425 ლექცია პარტიის ისტორიისა და თეორიის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა საკითხზე, ამასთან 5 ათასზე მეტი ლექცია მოეწყო მხოლოდ პარტიის XX და XXI ყრილობათა მასალების შესახებ. მაგრამ ზოგიერთი ლექციის იდეური შინაარსი ყოველთვის როდი შეესაბამება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XX ყრილობამ დასახა. ზოგიერთი ლექციის დონე დაბალია.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სტალინოს ოლქის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. თბილისის აგიტატორთა თითქმის 15-ათასიანი არმია წარმატებით ასრულებს დიდმნიშვნელოვან და საპატიო ამოცანას — განუმარტავს მშრომელებს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო მდგომარეობას, რაზმავს მათ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სამწუხაროდ, საადგილო აგიტაციო მუშაობას მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჯერ კიდევ ყამაბნური ხასიათი აქვს. ბევრ საწარმოსა და დაწესებულებებში დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი თვალსაჩინო აგიტაცია. ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად კითხულობენ პოლიტიკურ მოხსენებებს მშრომელებისათვის.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მუდმივად უნდა იზრუნონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ახსოვდეთ, რომ ამ მუშაობის შენელება ხელს უწყობს წარსულის ისეთი გადმონაშთების გაცოცხლებას, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, რელიგიური ცრურწმენები.

მომხსენებელი ლაპარაკობს საქალაქო და მრავალტირაჟიანი გაზეთების ამოცანებზე მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

მოხსენებაში აღძრული იყო აგრეთვე ქალაქის სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის ზოგიერთი საკითხი.

— თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, — ამბობს ამხ. გეგეშიძე, — ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქართული საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. ეს გასაგებიც არის. თბილისში ხომ ძირითადად თავმოყრილია წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირები. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის დედაქალაქის მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა ღიდი წარმატებანი მოიპოვეს. ამას თვალნათლივ მოწმობს საბჭოეთ-საკავშირო ატომური რეაქტორის ამუშავება, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან ერთად ტექნიკის მეცნიერებათა სწრაფი განვითარება, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დაკადის დიდი წარმატება მოსკოვში, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაფართოება, ქართული ხელოვნების ოსტატთა ტრიუმფალური გამოსვლები საზღვარგარეთ.

მაგრამ ჩვენს ნიჭიერ, მეცნიერულ და შემოქმედებითს ინტელიგენციას შეუძლია შეიტანოს და კიდევაც უნდა შეიტანოს მეტი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

მომხსენებელი ამბობს, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები საანგარიშო პერიოდში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას ქალაქის სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებებსა და შემოქმედებითი კავშირების პარტორგანიზაციებში, საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა და განსაკუთრებით მათი ახალგაზრდა კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას.

სერიოზული ნაკლოვანებებია, ამბობს მომხსენებელი, თბილისის თეატრების, კინოსტუდიის, მხატვართა, არქიტექტორთა და კომპოზიტორთა კავშირების მუშაობაში. მოსკოვში დეკადის მოწყობის შემდეგ ამ ორგანიზაციებმა რამდენადმე შეასუსტეს შემოქმედებითი აქტივობა. თეატრების სცენის კარი გაუღეს ნაკლებად მხატვრულ, ზოგჯერ კი იდეურად მანკიერ პიესებს. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გამოედევნა რაოდენობას, დაივიწყა მთავარი — ხარისხი და ამის შედეგად გამოუშვა რამდენიმე ფილმი, რომელთა იდეურ-მხატვრული დონე ძალიან დაბალია.

ჩვენ გვიხარია და ვამაყობთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებით, მაგრამ ამავე დროს უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხროთ მის ნაკლოვანებებს. ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ვალში არიან ხალხის წინაშე. მწერლები, დრამატურგები, მხატვრები ნაკლებად ქმნიან ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერის, საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ამსახველ ნაწარმოებებს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დიდმნიშვნელოვან ამოცანებზე. თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, წმიდად იცავს და ამრავლებს რა საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელოვან ტრადიციებს, შეძლო მტკიცედ შეეკავშირებინა ჩვენი სახელოვანი, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ქალაქის მშრომელები ერთიან ძმურ ოჯახად. თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მჭიდრო მეგობრობა ჩვენი წარმატებებისა და თაოსნობის წყაროა შემოქმედების შრომაში, ახალ შემართებებში კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

ყველა პარტიული ორგანიზაციის წმიდა მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ ჩვენი ქალაქის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების უსაზღვროდ ერთგული, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები, — ამბობს დასასრულ ამხ. გეგეშიძე, — მზად არიან შეასრულონ პარტიის ყოველი დავალება, ყოველი ღონისძიებით ამარჯონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. გ. აბუთიძემ.

შემდეგ დაიწყო კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **კ. გოგლიძე** ლაპარაკობს ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონის მშრომელთა წარმატებებზე. რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა შვიდწლედის პირველი წლის პროგრამის გადამეტებით გამოუშვეს 60 მილიონი მანეთის პროდუქცია. 173 ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივების სპეციალური წოდებისათვის. წარმოება მუშაკი ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ნერგავენ ახალ ტექნიკასა და მოწინავე ტექნოლოგიას, ამორტაციებენ ახალ ნაკეთურ ხაზებს, დგამენ ავტომატურ ჩარხებსა და აგრეგატებს. ლენინის რაიონის მშრომელებმა გაშალეს ბრძოლა იმისათვის, რომ შვიდწლიანი გეგმა 6 წელიწადში შეასრულონ. ორატორმა აღძრა საკითხი, რომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სამრეწველო მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მსვლელობისადმი, რომ გაუმჯობესდეს ქალაქის განაპირა უბნების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

თბილისის აეჯის კომბინატის დურგალმა ამხ. **ჯ. სალიაშვილმა** გააცნო კონფერენციას მეაჯეთა წარმატებანი, რომლებმაც აითვისეს ახალსახეობათა აეჯის, ამასთან მცირე გაბარიტიანი აეჯის წარმოება და გასული წლის განმავლობაში 25 პროცენტით და მეტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება. მან თქვა, რომ კომბინატში ფართოდ ინერგება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატებისა. მაგალითად, აქ დადგმულია კონვეიერი, რომელზეც ყოველ 12 წუთში აიწყობა შიფონერი. ამავე დროს ამხ. სალიაშვილი აღნიშნავს, რომ მასალების უქონლობის გამო საწარმოში ხშირია მოწყობილობის მოცდენა.

მთავართბილისმშენის უფროსმა ამხ. **გ. ქართველიშვილმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ქალაქის საბინაო მშენებლობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მთავართბილისმშენმა 1959 წელს დასასახლებლად გადასცა დაახლოებით 70.000 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, რაც 2,5-ჯერ და უფრო აღემატება 1957 წლს აგებული საცხოვრებელი ფართობის რაოდენობას. მშენებლობის მოცულობის გაფართოება შესაძლებელი გახდა ასაწყობი კონსტრუქციების და განსაკუთრებით ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ დანერგვის მეოხებით. მაგალითად, თუ 1957 წელს ყოველ მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის იხარჯებოდა სულ 200 კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი, 1960 წელს დაიხარჯება უკვე 360 კუბური მეტრი. ორატორმა ილაპარაკა თბილისის მშენებელთა ამოცანებზე შვიდწლედში.

სიტყვა ეძლევა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორს ამხ. **ა. დვალიშვილს.** იგი ამბობს, რომ თეატრს, რომელიც ქართველ მაყურებელს უყვარს და რომელსაც თავისი მშვენიერი ტრადიციები აქვს, უკანასკნელ ხანს არ შეუქმნია მნიშვნელოვანი სპექტაკლები თანამედროვეობის თემებზე. მან აუწყა კონფერენციას, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ თეატრის ხელმძღვანელობა და კოლექტივი დრამატურგებთან თანამშრომლობით რეპერტუარის განახლებისა და გამდიდრებისათვის. ამხ. დვალიშვილი ამბობს, რომ საჭიროა ახალგაზრდა მსახიობთა უფრო ფართოდ ჩაბმა თეატრის მუშაობაში და აღძრა საკითხი თეატრისათვის ახალი შენობის აგების შესახებ.

№ 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. **თ. სხვიტარიძე** აღნიშნავს, თუ რა წარმატებანი მოიპოვა საწარმომ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მკერავებმა შვიდწლედის პირველი წლის გეგმა შეასრულეს ჯერ კიდევ 5 დეკემბერს და თითქმის მთელი პროდუქცია პირველი ხარისხისა გამოუშვეს. საწარმო კიდევ უფრო კარგად იმუშავებდა, მის მომწოდებელ — კამვოლ-მაუდის კომბინატს რომ გაეუმჯობესებინა ხახვევარფაბრიკატის ხარისხი. ორატორი ამბობს, რომ საწარმოში ფართოდ განვითარდა მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის და ვალენტინა გაგანოვას თაოსნობის გავრცელებისათვის, ამბობს, რომ მკერავებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. **ი. ზერეკიძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ბუდუმიანი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. ხალიკოვი,** აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. **ბ. კუხიანიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ჯაჯანაკაია,** ქარხანა „ელექტროშემდუღებელის“ დირექტორი ამხ. **ო. მოსიაშვილი,** ამერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. **დ. ივაშჩენკო.**

დელეგატები დიდი აღფთოვანებით შეხვდნენ მისასალმებელ დეპეშას თბილისის XXIX საქალაქო პარტიული კონფერენციის სახელზე, რომელიც გამოგზავნეს მომმე სომხეთის დედაქალაქ ერევნის კომუნისტთა XXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის მონაწილეებმა.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ი. სარაჯიშვილმა.**

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

დღეგანტთა წინადადებანი

ეს ფაქტია

ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ღონისძიებანი ხორციელდება წარმოების ავტომატიზაციისათვის, ადამიანს დაუჯერებლად მოეჩვენება ის, რომ თბილისის უძველეს და შესანიშნავი ტრადიციების მქონე საწარმოში — ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ზოგიერთი საშუშაო ხელით სრულდება. მაგალითად, სამონტაჟო სამჭარხეში ვიყენებთ ამწეს, რომელიც ხელით ვამუშავებთ მოტორის უქონლობის გამო. შრომის გაადვილებისა და დროის ეკონომიის მიზნით აუცილებელია ამწეს მოტორი დაედგას. ამით საქმე დაჩქარდება, გაადვილდება და 5-6 კაცი განთავისუფლდება მძიმე შრომისაგან.

დ. ამირანაშვილი,
ქარხნის ზეინკალთა ბ

წიგნი მაღაროში

ერთი ბიბლიოთეკის შესახებ

ქალინინის სახელობის მაღაროს ბიბლიოთეკაში ვართ. უნებლიეთ გვაგონდება ოცდაათიანი წლები. სწავლისა და შრომის დაუვიწყარი დღეები, მაღაროს ლები, ბიბლიოთეკა, წიგნების კითხვით აბუკური გატაცება, აფორიზმების, მოდენილი გამოთქმების ამოწერა...

რა ვრცელ, ნათელ ბინაში იყო იმანად მაღაროელთა ბიბლიოთეკა! საუხოდ შერჩეული მხატვრული, პოლიტიკური თუ ტექნიკური ლიტერატურა, წიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთების საითხავად მოხერხებული მაგიდები. ახალი წიგნების დარგობრივი გამოფენები, რჩევა-დარიგება, ვის რომელი წიგნი ეკითხა. და მკითხველებიც როდი ყავდა ცუდი. მცირე ბიბლიოთეკას. ევრი რამ კარგი შეეძინეს აქედან ახალგაზრდა თუ ხანში შესულმა მაღაროელებმა. რა სიყვარულით, ფაქიზად ყურობდნენ ისინი წიგნებს, როგორი ოდინჯითა და დამჯერებლობით უზიარებდნენ ურთიერთს წაკითხულს, გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს... ს ამბავი გადაჭარბებად ნურავის მოეჩვენება. ნამდვილად ასე იყო...

ახლა ხომ უკეთ უნდა იყოს და ათერ უკეთაც! გულსატკენია, რომ ამანად მაღაროს ბიბლიოთეკას ბევრი „ტკივილი“ აქვს. ჯერ იყო და ერთობ ბავეწროვეს, პატარა ოთახში მოათავეს, მკითხველებისათვის იქ მხოლოდ ბატარა მაგიდა ეტევა. ამაზე რომ არაფერი ვთქვათ, კარგა ხანს ბიბლიოთეკა გამოკეტილი იყო, შტატით ბიბლიოთეკას გამგე არ ეკუთვნისო. დაუსრულებელი დავა იყო პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომსა და მაღაროს დირექციას შორის, თუ ვის მიეცა ხელფასი ბიბლიოთეკის გამგისათვის. დიდი გაწამწამისა და დავიდარაბის შემდეგ დათმობაზე წავიდა მაღაროს დირექცია. ერთი წელია ბიბლიოთეკის გამგედ ე. გაფრინდაშვილი დანიშნეს, მაგრამ აი, დავა კვლავ განახლდა. მაღაროს ხელმძღვანელები ირწმუნებიან, ბიბლიოთეკის გამგეს ხელფასი პროფკავშირებმა უნდა მისცენო, პროფკავშირები პირიქით ამტკიცებენ, და ეს ბიბლიოთეკის მუშაობაზე კეთილსასურველად როდი მოქმედებს...

ახლა საქმის შინაარსში ჩავიხედოთ. ბიბლიოთეკის გამგემ ე. გაფრინდაშვილმა შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. მას ეტყობა საბიბლიოთეკო საქმე უყვარს, მაგრამ დღემდე ვერაფერ ნახა, რომ საქმიანი რჩევა-დარიგება მიეღო. მან გულწრფელად თქვა: „ერთთვიანი კურსები რომ მაინც გამეკლო, ძალიან დამეხმარებოდაო“, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია.

ვეღარც წიგნის მდიდარ ფონდს დაიკვეხნის ბიბლიოთეკა. ძველი ლიტერატურა აღარ ჩანს, ახალი არავის შეუძენია. აგერ რამდენიმე წელია და მხოლოდ ამ ზაფხულს „შეავსეს“ ბიბლიოთეკა რაღაც შვიდასი მანეთის წიგნებით. ეს ხომ წვეთია ზღვაში!

ალგანელი არტისტების კონცერტი

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმში საგასტროლოდ იყო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ტირანის ოპერის წამყვანი სოლისტები გიორგი ტურია და ანრო ტომკო.

ალბანელმა მსახიობებმა ხალხური შემოქმედების სახლის თეატრში გამართეს კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო არიები რუსი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების კლასიკური ოპერებიდან და ალბანური ხალხური სიმღერები.

ალბანელი მსახიობების კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

სახალხო თეატრის გასტროლები

ძუთაისი. (საკ. კორ.). აქ ხუთ დღეს იმყოფებოდა საგასტროლოდ ამბროლაურის სახალხო თეატრი, რომლის კოლექტივმა ქუთაისელ მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები — გ. ონიანის „ნაძვნარის საიდუმლო“ და გ. ფიგეირედოს ჰეროიკული კომედია „მელა და ყურძენი“ (თარგმანი პ. წერეთლისა).

სახალხო თეატრის სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ერი ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკას ძალიან მცირე რაოდენობით აქვს ახალი მხატვრული, პოლიტიკური და ტექნიკური ლიტერატურა. უსათუოდ ამით და წიგნის სუსტი პროპაგანდით აიხსნება, რომ ბიბლიოთეკას ხელზე ჩამოსთვლელი მკითხველები ჰყავს. სამწუხაროა, რომ მათ შორის ძნელი მოსაძებნი არიან მაღაროელები.

ახალ ლიტერატურასა და წიგნების გონივრულ შერჩევაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მუშა ერთ-ორჯერ მივა ბიბლიოთეკაში, მოითხოვს მისთვის საჭირელ წიგნს. არ აღმოჩნდება იგი, გულნატკენი ჩაქნევს ხელს და კარგა ხანს ბიბლიოთეკის კარს აღარ შეაღებს...

თუ აქ ახალი გამოცემები ძალიან მცირეა ან სულაც არა აქვთ, სამაგიეროდ ერთი მოზრდილი თარო გაჭედილია მოძველებული ბროშურებით, რომლებიც მკითხველს ვერ იზიდავს.

მაღაროელები, ბუნებრივია თითქმის სრულიად არ ეტანებიან ბროშურებს: „პირუტყვის ბაგურ-ბინაკური კვება“, „ვაზის ხელოვნური დამტვერვა“, „ფილოქსერის გამძლე ვაზის სადედეს გაშენება და მოვლა“, „ვრიპი, წითელა და ყივანა ხველა“, „მალარია“, „მუცლის მწვავე ჭირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ და სხვ. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ასეთი ლიტერატურის წინააღმეგი ვიყოთ, მაგრამ როცა ლაპარაკია წარმოებაში ტექნიკურ პროგრესზე, სამრეწველო-ტექნიკურ ინფორმაციაზე, ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაზე, მაღაროელებსაც ამ თემებზე დაწერილი ბროშურები აინტერესებთ.

პატარა შენიშვნა ერთ საკმაოდ ცუდ ჩვეულებაზე, რომელიც გავრცელებულია ახალგაზრდების ნაწილში. სამწუხაროდ, ზოგიერთს არ უყვარს წიგნი — ადამიანის მეგობარი და თანაშემწე, ჩვენი აღმზრდელი და დამრიგებელი, ცოდნისა და შთაგონების უშრეტი წყარო. გვხვდებიან ახალგაზრდები, რომლებიც ფაქიზად არ ეპყრობიან ბიბლიოთეკის წიგნს, იქ აკეთებენ უაზრო შენიშვნებს, უხეირო, დაუკვირვებელ წარწერებს.

ბიბლიოთეკის თაროდან სრულიად შემთხვევით უ. შექსპირის მეორე ტომი გადმოვიღეთ. გული გეტნინებათ, როცა იქ ნახავთ უმსგავსო წარწერებს.

„წავიკითხე ეს წიგნი X კლასში ყოფნის დროს, როცა გაკვეთილად გვქონდა“, — გვაუწყებს ვინმე ვერა გაფრინდაშვილი. „წავიკითხე ეს წიგნი ჩვენ 23 მაისს რამაც კარგი შთაბეჭდილება დაგვიტოვა“, — გვიმტკიცებს ვიღაც ქულა კობახიძე.

ზოგიერთ ქალიშვილს თუ ჭაბუკს ნიჭი პოეზიაში უცდია და თავიანთი „შემოქმედება“ შექსპირის იმავე ტომის თავისუფალ ადგილებზე მიუჯღანია.

და ამრიგად, მთელი ტომი გადაჭრელებულია უმსგავსო წარწერებით. იქ ნახავთ ნ. გაფრინდაშვილის, ცოცი ხუბაევის, ჯუმბერ კენჭოშვილის, დანარი მარგველაშვილის „შემოქმედებას“. ეს ბიბლიოთეკა ამ მხრივ გამონაკლისი როდია.

ბიბლიოთეკის ყველა მუშაკს, ყოველ მკითხველს მუდამ უნდა ახსოვდეს და არ ივიწყებდეს მაქსიმ გორკის შთამაგონებელ სიტყვებს:

„გიყვარდეთ წიგნი, იგი გაგიადვილებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გაერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების ჯრელსა და მძაფრ ხლართში, იგი შეგასწავლით პატივისცემას ადამიანისა და საკუთარი თავისადმი, იგი სამყაროსადმი, ადამიანისადმი სიყვარულის ფრთებს ასხამს გონებასა და გულს“.

კალინინის სახელობის მაღაროს მოწინავეა ჭიათურაში, რესპუბლიკაში. ჩვენი გულწრფელი სურვილია სანიმუშო იყოს მაღაროელთა ბიბლიოთეკაც. იგი უნდა გავამდიდროთ წიგნის ფონდით, ჭკვიანურად გამოვიყენოთ, შთავუნერგოთ ადამიანებს წიგნის სიყვარული.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი სადნობი საამქროს № 6 ლუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) გ. ბარბაქაძე, შ. დადუნაშვილი (ბრიგადირი), მ. ბერაია და ღ. ჭიპაშვილი. ისინი შესვენებაზე მეგობრულად საუბრობენ, კითხულობენ ახალ გაზეთს. ფოტო ბ. დადვაძისა.

სოფლის ბიბლიოთეკის საბჭო

მახარაძე. (საქდისი). ბიბლიოთეკა ერთ-ერთი პოპულარული კულტურული დაწესებულებაა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ საქმეში ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის ბიბლიოთეკის საბჭოს, რომელიც შექმნილია ბიბლიოთეკის გამგის ციალა დონდოლაძის ინიციატივით.

საბჭო, რომელიც ბიბლიოთეკის მკითხველებისა და თანამშრომლებისაგან შედგება, მრავალი საინტერესო წამოწყების ინიციატორია. საბჭოს ინიციატივით ბიბლიოთეკასთან შექმნილია რამდენიმე მოძრავი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის აქტივისტებს გუგუშიძეს, ბოლქვაძესა და სხვებს საკოლმეურნეო ბრიგადებში და ფერმებში მიაქვთ წიგნები და ჟურნალები, აწყობენ ხმამაღალ კითხვას.

საბჭოს გადაწყვეტილებით შემოღებულია კომლობრივი შემოვლა. როცა კოლმეურნეს არა აქვს დრო, რომ მივიდეს ბიბლიოთეკაში, მასთან შინ მოდის აქტივისტი, რომელსაც თან მოაქვს წიგნები, ბროშურები, ჟურნალები, აგრეთვე ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, არკვევს, რა აინტერესებს მკითხველს. ბიბლიოთეკის მუშაკები დაინტერესდნენ, რა ლიტერატურაზე განსაკუთრებით იზრდება მკითხველთა მოთხოვნა. გამოირკვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ მკვეთრად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკური ლიტერატურის გაცემა. მეჩაიეებმა ა. ჩხაიძემ, ი. კუბუშიძემ, მეაბრეშუმე გ. ხუხუნაშვილმა და სხვებმა წაიკითხეს მთელი რიგი წიგნები იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიონ ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავლიანობას.

ბიბლიოთეკის საბჭომ დაამტკიცა მკითხველთა კონფერენციებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობის გეგმა 1960 წლისათვის.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გინდა იყო ჯანსაღი, ბიბლიოფილი, მხნე, ლამაზი?..

ქართულ პედაგოგიკურ ლიტერატურას ერთი ახალი, საინტერესო წიგნი შემატა. მხედველობაში გვაქვს დოც. გ. ნიკოლაიშვილის შრომა „ფიზიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები“, რომელიც ამას წინათ გამოსცა „ცოდნამ“.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი გვაცნობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიას საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარების შესაბამისად. იგი ეხება ფიზიკური აღზრდის მიზანსა და ამოცანებს, არკვევს იმ ურთიერთობას, რომელიც ფიზიკურ აღზრდას აქვს მოზარდის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდასთან. აგრეთვე იმ სპეციფიკურ მომენტებს, რომლებიც ახასიათებს კერძოდ ფიზიკურ აღზრდას კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემაში.

ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის საკითხის სწორად გადაჭრა შეძლო მხოლოდ მარქსისტულმა ფილოსოფიამ. ამ თვალსაზრისით აქვს ავტორს გაშუქებული ის დიდი დამსახურება, რომელიც იმავე პრობლემის სიზუსტით გადაჭრაში აკადემიკოს ი. პ. პავლოვსა და მის სახელგანთქმულ სკოლას ეკუთვნის. გულდასმით არის დამუშავებული თავი „ფიზიკური აღზრდის ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ ასაკობრივი თვალსაზრისით“.

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხის შემდეგ ავტორი ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიანობის საფუძველზე განიხილავს ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. დოც. გ. ნიკოლაიშვილი ამ თავში ეხება ბავშვის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს და აშუქებს ამ განვითარების ისეთ ძირითად ფაქტორებს, როგორიც არის მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა.

ფსიქოლოგიის მეცნიერების უახლოეს მონაპოვართა საფუძველზე ავტორს გაშუქებული აქვს ბავშვის ცნობიერების ასაკობრივი განვითარების საკითხი. ამავე ასპექტშია განხილული ბავშვის ფსიქიკური ცხოვრების მთელი შინაარსი და ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის.

წიგნის იმ თავში, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზოგად-პედაგოგიკური საფუძვლების გაშუქებას ისახავს მიზნად, პირველ საკითხად განხილულია მოზარდის ქცევის სპეციფიკური ფორმები და მოცემულია მათი პედაგოგიკური ანალიზი.

ავტორს სწორი პედაგოგიკური თვალსაზრისით აქვს გაშუქებული მოსწავლე ახალგაზრდობაში სპორტის დანერგვის შესაძლებლობის მიზანშეწონილობის საკითხი.

არა, მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკულ-პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს წიგნის იმ ნაწილს, რომელშიც ფიზიკური აღზრდის პროცესის არსი და ამ პროცესის აგების ძირითადი დიდაქტიკური პრინციპებია განხილული.

წიგნში მეცნიერული სიზუსტით არის დამუშავებული აგრეთვე საკითხი ფიზიკური აღზრდის შინაარსისა და საშუალებების, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების შესახებ. საქმის უშუალო ცოდნითა და შესაფერი გულისყურით დამუშავებულია წიგნის უკანასკნელი თავი, რომელიც ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მუშაობის სპეციფიკურ მხარეებსა და მის პირად თვისებებს შეეხება.

ყველა ამ დადებით მხარესთან ერთად სარეცენზიო წიგნს ზოგიერთი ნაკლი და ხარვეზი ახლავს. მაგალითად, წიგნის იმ ნაწილში, სადაც ისტორიულ ასპექტშია განხილული ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის პრობლემა, ნაკლებად არის გამოყენებული ქართველ მეცნიერთა და მოაზროვნეთა (ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის და სხვ.) პროგრესული შეხედულებები ამ საკითხზე.

წიგნის სტრუქტურული მთლიანობის თვალსაზრისით უეჭველად კარგი იქნებოდა, რომ ავტორს გაეშუქებინა მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების შემოწმებისა და შეფასების საკითხი, მით უმეტეს, რომ იგი დღეისათვის მეტად აქტუალურია.

სარეცენზიო წიგნი ქართველი მკითხველისათვის არის განკუთვნილი და ამიტომ სასურველი იყო, რომ ავტორს რუსული ციტატები ქართულად ეთარგმნა. წიგნში, სამწუხაროდ ბევრია კორექტურული შეცდომები, უფრო მეტად რუსულ ტექსტში.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად დოც. გ. ნიკოლაიშვილის წიგნი საჭირო და საესარგებლოა.

პროფესორი
ს. ნარიკაშვილი,
დოცენტი ვლ. ზამბახიძე.

მოსწავლე, შენთვის!

გამოვიდა საშუალო სკოლის X კლასის სახელმძღვანელო, — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი საკითხები“. წიგნის ავტორია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. ზ. ინწკირველი.

სახელმძღვანელო ათი თავისაგან შედგება. მას წამძღვარებული აქვს შესავალი, სადაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ საბჭოთა კონსტიტუციის და კანონმდებლობის ძირითადი საკითხების შესწავლის მნიშვნელობას.

წიგნის პირველ თავში გაშუქებულია სახელმწიფოს და სამართლის განვითარების საკითხები. ავტორი განმარტავს, რამ განაპირობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, მიუთითებს მათ ისტორიულ ტიპებს, ახასიათებს სოციალისტურ სახელმწიფოს და სამართალს როგორც უმაღლესი ტიპის სახელმწიფოს და სამართალს.

სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში მოცემულია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ანალიზი. ავტორი განიხილავს საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას, მათი ჩამოყალიბებისა და მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს, სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, საბჭოთა საარჩევნო სისტემას.

სახელმძღვანელოში მოცემულია რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციის და საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მოკლე დახასიათება.

წიგნი დაწერილია საინტერესოდ. ავტორი ერიდება ვრცელ გზებზე. მაგრამ შემდეგში ეს სასარგებლო საქმე რატომღაც მიყრუდა.

მართალია, ცალკეული რესპუბლიკური და ადგილობრივი უწყებები და ორგანიზაციები ახლაც მუშაობენ ამ საკითხებზე. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ შეიძლება არ აინტერესებდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები, სახალხო მეურნეობის საბჭო კი გვერდს ვერ აუვლის მრეწველობის განლაგების საკითხს. მაგრამ ეკონომიური დარაიონების ყველა ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ერთმანეთისაგან მოწყვეტით.

ამტომ საჭიროა, შეიქმნას ცენტრალიზებული დარაიონების კომისია. ამ ორგანიზაციის ამოცანა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, მრეწველობის განლაგებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხების კვლევა და შესწავლა, ამ სამუშაოს კოორდინირება. ამ მიმართულებით წარმოებული ყველა სამუშაოს თავმოყრა ორგანიზებულად შეიტანს ეკონომიური დარაიონების საქმეში, დაგვიზოგავს დროსა და სახსრებს, აგრეთვე მნიშვნელოვნად დაგვეხმარება საწარმოო ძალების გამოვლინებასა და შესწავლაში და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიზანშეწონილად განლაგებაში.

ი. ხირსელი.

ეკონომიური დარაიონება რატომ მივივიწყეთ?!

შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური დარაიონების საკითხის იმ ფაქტორების შესწავლასა და გათვალისწინებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი მეურნეობის სტრუქტურაზე, შემდგომ განვითარებაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სამი მომენტი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია; მრეწველობის განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შრომის ორგანიზაცია.

ნიადაგისა და ჰავის ხელსაყრელი პირობები საქართველოს მეტ წილ რაიონებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა. ცალკეულ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებას განლაგება ძირითადად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრის დროს არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ის ეკონომიური ფაქტორებიც, რომლებიც ასახავს პოულობენ ამა თუ იმ კულტურის წარმოების ხარჯებში.

მაგალითად, მევენახეობის დარგში უნდა სპეციალდებოდნენ არა ის რაიონები, სადაც მევენახეობისათვის მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, არამედ ის რაიონები, სადაც ამ ბუნებრივი მონაცემების გვერდით არის დადებითი ეკონომიური მაჩვენებლებიც — საჭირო შრომითი რესურსები, აგრეთვე არის შესაფერი რელიეფი. რომელიც იძლევა მექანიზაციის საშუალებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მაგისტრალურ გზებთან სიახლოვეს. ეს ისეთი ეკონომიური ფაქტორებია, რომლებმაც, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება მევენახეობაში უზრუნველყონ უხვი მოსავალი წარმოების ყველაზე მცირე დანახარჯით. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არამედ იმასაც, რომ დაბალი იყოს ამ პროდუქტების თვითღირებულება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დანერგილია კულტურები, რომელთა დამუშავება დღეისათვის შედარებით ნაკლებად არის მექანიზებული. ამიტომ იხარჯება დიდი შრომა. მთელი რაიონის სპეციალიზაცია მარტო ერთ კულტურაში იმას გამოიწვევდა, რომ ამ რაიონის სოფლის მოსახლეობა წლის განმავლობაში იმუშავებდა დაძაბულად, ზშრად მოცდენოდა. ყოველივე ამას კი მოსდევს მატერიალური ზარალი როგორც ცალკეული მშრომელებისათვის, ისე მთელი სახალხო მეურნეობისთვისაც. აქედან ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია გულისხმობს თვითეული რაიონისათვის წამყვანი კულტურის ამორჩევას, მაგრამ ამ წამყვან კულტურასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს სხვა დამხმარე სასოფლო-სამეურნეო დარგებიც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დასახლების სიმჭიდროვე. თუ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე სტიმულს აძლევს ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებას, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე, პირიქით, სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ინტენსიური კულტურების განვითარებისათვის, ბუნების უადრესად ხელსაყრელ პირობებშიც კი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების საკითხს.

საჭიროა მივისწრაფოდეთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა რაც შეიძლება თანაბარი განლაგებისაკენ. ვერიდებოდეთ მათს ზედმეტ კონცენტრაციას მსხვილ ცენტრებში. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები მაქსიმალურად უნდა მივუახლოოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შორეულ პუნქტებს, ნედლეულის წყაროებსა და მუშახელის რეზერვებს.

აბრეშუმის მრეწველობის საწარმოები, რომლებიც ამუშავებენ მაღალი ღირებულების, შეიძლება განლაგებულ იქნას იმის გათვალისწინებითაც, თუ სად არის ჯარბად შრომითი რესურსები. ეს მომენტი მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა განლაგებისას.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, მრეწველობის განლაგებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებისა და გეოგრაფიული და კლიმატური პირობების ღრმად შესწავლა ამომწურავ მასალებს მოგვცემს რესპუბლიკაში ეკონომიური რაიონების ჩამოყალიბებისათვის. ამ მიმართულებით საბოლოო მიზანი იქნება საქართველოს ეკონომიური დარაიონების სქემის შედგენა და მისი სრულყოფა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების ამოცანების შესაბამისად.

ადრე თბილისში სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოქმედებდა დარაიონების კომისია, რომელიც მუშაობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და ადმინისტრაციული დარაიონების საკითხებზე. მაგრამ შემდეგში ეს სასარგებლო საქმე რატომღაც მიყრუდა.

მართალია, ცალკეული რესპუბლიკური და ადგილობრივი უწყებები და ორგანიზაციები ახლაც მუშაობენ ამ საკითხებზე. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ შეიძლება არ აინტერესებდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები, სახალხო მეურნეობის საბჭო კი გვერდს ვერ აუვლის მრეწველობის განლაგების საკითხს. მაგრამ ეკონომიური დარაიონების ყველა ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ერთმანეთისაგან მოწყვეტით.

ამტომ საჭიროა, შეიქმნას ცენტრალიზებული დარაიონების კომისია. ამ ორგანიზაციის ამოცანა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, მრეწველობის განლაგებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხების კვლევა და შესწავლა, ამ სამუშაოს კოორდინირება. ამ მიმართულებით წარმოებული ყველა სამუშაოს თავმოყრა ორგანიზებულად შეიტანს ეკონომიური დარაიონების საქმეში, დაგვიზოგავს დროსა და სახსრებს, აგრეთვე მნიშვნელოვნად დაგვეხმარება საწარმოო ძალების გამოვლინებასა და შესწავლაში და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიზანშეწონილად განლაგებაში.

ი. ხირსელი.

სინამდვილე და შესაძლებლობა

გვწერენ „კომუნისტის“ საგუშაგოდან

საპატიო მოვალეობა აკისრია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტს, რომელიც მრეწველობის მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება. შემთხვევითი როდია, რომ ინსტიტუტი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შორის. ყოველ მათგანს აქ ხვდება მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალკვალიფიციური ექიმების დიდი ყურადღება, სითბო და მზრუნველობა.

ინსტიტუტში წარმატებით მკურნალობენ სხვადასხვა პროფესიულ დაავადებებს, რომელთა დროული გამოვლინებისათვის ინსტიტუტის ექიმები საწარმოებში ადგილზე იკვლევენ მუშათა ჯანმრთელობას და სწავლობენ მათი შრომის პირობებს. დაავადების ადრეულად გამოვლინება და დროულად მკურნალობის ჩატარება კი წარმატების საწინდარია.

ტყიბულის მეშახტეს ი. ბ. ხ-ძეს, რომელიც დაავადებულია პროფესიული სნეულებით უმკურნალეს ახალი მეთოდით და მშვენიერ შედეგს მიაღწიეს. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს მიმართავს, რომ ავადმყოფისათვის შექმნას მყუდროება და მკურნალობისა და დასვენების პირობები. მაგრამ, სამწუხაროდ, ინსტიტუტი მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ შენობაში. მას სულ 22 საწოლი აქვს. არის შემთხვევები, როდესაც სტაციონარში თავისუფალი საწოლების უქონლობის გამო ინსტიტუტი უარს ეუბნება სამრეწველო რაიონებიდან ჩამოსულ ავადმყოფ მუშებს მკურნალობაზე.

ინსტიტუტს კუთხეკი კი ადა აქვს, რომ მოაწყოს ფიზიოთერაპიული კაბინეტი, და იძულებულია ფიზიომკურნალობისათვის ავადმყოფები გაგზავნოს სხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

ეზოს უქონლობის გამო ზაფხულის ცხელ დღეებში ავადმყოფები მთელ დღეს ატარებენ პალატებში მაშინ, როცა ინსტიტუტის შენობის უდიდეს ნაწილში კერძო მოსახლეები ცხოვრობენ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უურადღება უნდა მიაქციოს ასეთი დიდი მნიშვნელობის დაწესებულებას, უნდა შეუქმნას პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

ვ. გლუშკოვი,
ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის გამუკანი;

ბ. გაფრინდაშვილი,
ტყვარჩელ-ახშირის ტრესტის № 5 შახტის გამუკანი;

ლ. ლიზუნოვა,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ხიდური ამწის მემანქანე;

ბ. ჩხეიძე,
ტყიბულ-ნახშირის ტრესტის გოლათის შახტის გეოლოგი.

რამდენიმე თვეა, რაც ლამარა ჩიტიაშვილი თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში მოვიდა. მაგრამ უკვე კარგად დაეუფლა ჩარხზე მუშაობას და ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს. ამავე დროს ლამარა არც სწავლაში ჩამორჩა, ხალამოს სკოლის მეათე კლასში სწავლობს და ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლება.

სურათზე: ლამარა ჩიტიაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ორი სოფელი—ორი სამყარო

ჩვენს წინ მაგიდაზე დევს ერთ-ერთი სოლიდური ჟურნალი. მრავალ სხვა წერილს შორის ყურადღებას იქცევს იქმეთ ქიულუს კორესპონდენცია „თურქულ სოფელში“. კითხულობთ, და გული მწუხარებით გევსებათ. საბრალო, დაბეჩავებული გლეხკაცი. მონად გაუხდია იგი კაპიტალიზმის ველურ კანონებს...

მოვუსმინოთ ავტორს: „ბურდურის ვილაიეთის პატარა სოფელი ჰუნეი, რომელიც სადღაც მაღალ მთებს შუა არის ჩაკარგული, ასეულობით სხვა თურქულ სოფელსა ჰგავს. ამ სოფელში შემთხვევით მოვხვდით — სანამ შოფერი წყალს მოძებნიდა ავტომანქანის ძრავას გასაცივებლად, საუბარი გავუბით იქვე მდგომ მამაკაცსა და ქალს.

— ცუდად ვცხოვრობთ, — თქვა გლეხმა. — მიწა არა გვაქვს, პური არ გვყოფნის. ტანისამოსი, — თვითონ ხედავთ, ახლის საყიდი ვინ მოგვცა...

სოფელში საშინელი უმეცრება სუფევს. არ იციან რა არის რადიო, კინო, კლუბი, ან მედპუნქტი (საავადმყოფოზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია). ერთ-ერთ სოფელში გლეხმა დიდხანს ვერ მიპასუხა — როდის იყო იგი უკანასკნელად კინოში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მან არც კი იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა“, — დაასკვნის მწუხარე ტონით ავტორი.

ასეთია თურქული სოფელი. ასეთია ბევრი სოფელი ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრებს გადაღმა. როცა კითხულობ ქიულუს სტატიას და სხვა მის მსგავს წერილებს, არ შეიძლება არ დაგებადოს სურვილი შეადარო ჩვენს რომელიც გინდა სოფელს ჰუნეი, რომელიც ბნელშია ჩაძირული.

აი შორეული მთის სოფელი სალხინო, რომელიც გეგეჭკორის რაიონში მდებარეობს. ისიც მთებშია, მაგრამ ჩაკარგული კი არა — გაცისკროვნებული, ლაღი ცხოვრებით აღვსილი და გაბარებული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ისიც ჰუნეის ჰგავდა. მემამულეები და ბობოლები სულს ხდიდნენ გლეხკაცს, უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ. მაგრამ ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა გლეხკაცი მონად ითვლებოდა. სალხინო... მართლაც რომ სალხინოა ეს სოფელი. მაგრამ ამჯერად გვინდა უფრო კონკრეტულ თემას შ

ლათინურ ამერიკაში ახალმა სიომ დაჰბერა

სამხრეთ ამერიკის უზარმაზარ კონტინენტზე ხალხები ახალ, 1960 წელს ჩრდილოეთისათვის უჩვეულო პირობებში შეხვდნენ. ამ დღეებში არგენტინის უსაზღვრო პამპებში, ბრაზილიის, კოლუმბიის, ვენესუელისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების გაუვალ ჯუნგლებში ცხელი სამხრეთული ზაფხულია.

ლათინურ ამერიკაში წლევანდელი ზაფხული უჩვეულოა. სითბოსთან ერთად მან მოიტანა ნათელი მომავლის იმედების ჩამნერგავი ამბები. ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან მისი მოლაპარაკების შედეგად გაჯანსაღდა საერთაშორისო ვითარება, შეიქმნა ხალხებისათვის საძულველი „ცივი ომის“ ლიკვიდაციის რეალური შესაძლებლობანი. საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას, რომელიც სსრ კავშირის მთავრობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან წამოაყენა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მოწონებით შეხვდა ასეული მილიონობით უბრალო ადამიანი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა მეტი წილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. ამას მოწმობს ინიციატივა ჩილის პრეზიდენტის ხორხე ალესანდრისა და პერუს პრეზიდენტის პრადოსისა, რომლებმაც გაიღაშქრეს ლათინურ ამერიკაში გამაღლებული შეიარაღების წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეს ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა სამხედრო გეგმების გადასინჯვას, რათა იხსნან ეს სახელმწიფოები შეიარაღების მძიმე ტვირთისაგან. პერუს პრეზიდენტმა პრადომ წინადადება წამოაყენა მოწვეულ იქნას ლათინური ამერიკის რესპუბლიკების მთავრობათა მეთაურების კონფერენცია განიარაღების საკითხებზე და ამ კონფერენციაზე შეიმუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ამ რაიონის ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემდნენ შეამცირონ უზომოდ დიდი სამხედრო ხარჯები.

პრადო — ალექსანდრის ინიციატივამ არგენტინის, ვენესუელის, კოლუმბიის, ბოლივიის, ჰონდურასის პრეზიდენტების, ურუგვაის სახელმწიფო საბჭოს, ეკვადორის მთავრობის მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა. მათს წინადადებას სწყალობს აგრეთვე ბრაზილიის მთავრობა.

საერთაშორისო ჰავის დათბობა დაეტყო აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოებისადმი ამ კონტინენტის ქვეყნების ურთიერთობას. უკანასკნელ ხანს ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაძლიერდა სოციალისტურ ქვეყნებთან და, პირველ რიგში, სსრ კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მოთხოვნები. ამ ურთიერთობის მოგვარებას მხარი დაუჭირეს საზოგადოებრიობის, საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, კონგრესების წევრებმა. მათს ხმას ისეთი ძალა მიეცა, რომ, მაგალითად, ბოლივიაში ეს საკითხი განხილულ იქნა დეპუტატთა პალატასა და სენატში; ჩილეში გაიმართა პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლების თათბირი, რომლებიც მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ უმოკლეს ვადაში. ბრაზილიის ნაციონალისტურმა საპარლამენტო ფრონტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც აზრი გამოთქვა სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ. ასეთივე მოთხოვნებით გამოდის ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობაც.

ამ მოძრაობის ინიციატორები მიუთითებენ იმ უპირატესობებზე, რომელსაც მათს ქვეყნებს მოუტანს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. მაგალითების სახით მათ მოჰყავდათ საბჭოთა კრედიტი ასი მილიონი დოლარის როდენობით, რომელიც არგენტინას ხელსაყრელი პირობებით მიეცა 1959 წელს, და ბრაზილიასა და საბჭოთა კავშირს შორის ამას წინათ ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმება. ლათინური ამერიკის პრესის საერთო აღიარებით, სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ასეთი სავაჭრო გარიგებები ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნებს ნედლეულის დაგროვილი მარაგის ლიკვიდაციასა და მათი ეკონომიკის საერთო მდგომარეობისა და ხალხის მასების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მარტო ოფიციალური მონაცემებით ლათინური ამერიკის ქვეყნებში ითვლება 70 მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი, იგრძნობა სკოლების, მასწავლებლების, საავადმყოფოებისა და სხვ. მწვავე ნაკლებობა, ხოლო შეერთებული შტატების მიერ მათთვის თავსმოხვეული ყოველგვარი შეთანხმებანი — სავაჭრო შეთანხმებებით დაწყებული და სამხედრო შეთანხმებებით გათავებული — ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიან დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნისა და მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლების გზაზე.

აზრთა ახალი მიმართულება მოიცავს ლათინური ამერიკის რესპუბლიკების ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარის. იზრდება მოსახლეობის მისწრაფება იმისადმი, რომ გაეცნოს სსრ კავშირის წარმატებებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას უდიდესი წარმატება მეცნიერების, ტექნიკისა და განათლების დარგში მიღწეების საბჭოთა გამოფენისა, რომელიც 1959 წლის ნოემბერში მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გაიხსნა. ოთხ კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში გამოფენა მილიონზე მეტმა მექსიკელმა დათვალიერა. ამ ქვეყანაში განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიკოიანს, რომელიც საბჭოთა გამოფენის გახსნაზე ჩამოვიდა. ა. ი. მიკოიანის ვიზიტმა მექსიკაში და ამ ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან მისმა საუბრებმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

1959 წელი აღინიშნა დემოკრატიისა და პროგრესის ძალების დიდი მონაპოვრებით ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. სახალხო. ანტიიმპერიალისტური რევოლუციის შედეგად კუბაში დაეცა ბატისტას პროამერიკული დიქტატურა, განმტკიცდა დემოკრატიული რეჟიმები ვენესუელასა და კოლუმბიაში. პარაგვაიში წარმოების შეიარაღებული ბრძოლები დიქტატორის ჯარებსა და აჯანყებულთა ძალებს შორის. მთელ კონტინენტზე ძლიერდება ბრძოლა უცხოური, უმთავრესად ამერიკული მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში.

ამის მკაფიო მაგალითია პანამის არხის ზონიდან ამერიკელთა განდევნისა და სამშობლოსთან ამ ტერიტორიის შეერთებისათვის პანამელი ხალხის ბრძოლა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ განახლდა.

პროგრესული კაცობრიობა მიესალმება ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მას სხვანაირად ეკიდებიან შეერთებული შტატების, გარკვეული წრეები. სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელიც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს კუბის რევოლუციურ მთავრობაზე, მის დედაქალაქ ჰავანაში გაგზავნა რამდენიმე ნოტა, რომლებიც შეიცავდა აშკარა მუქარას კუბის რესპუბლიკის მიმართ, თუ იგი ანგარიშს არ გაუწევს ამერიკის მონოპოლიების ინტერესებს. ამავე დროს კუბაზე ძლიერ ეკონომიურ ზეგავლენას ახდენენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში წარმოიბეს გააფთრებული ცილისმწამებლური კამპანია კუბისა და ვენესუელის წინააღმდეგ, რომლის მსვლელობაში გაისმის მოწოდებანი ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევისაკენ. მაგალითად, ამას წინათ „ურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ გამოაქვეყნა ბემინის სტატია, რომელიც ამერიკის კონგრესს მოუწოდებს მიიღოს რეზოლუცია, რომელიც გაამართლებს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას ლათინური ამერიკის რესპუბლიკების საშინაო საქმეებში.

მაგრამ სამუდამოდ ჩაბარდა წარსულის დრო, როცა ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ბედს ამერიკის მონოპოლიების მსახურები წყვეტდნენ.

ვ. კოლოკოლნიკოვი.

ქ. მეხიკო.

საერთაშორისო თემაზე

ტურნირი ჰოლანდიაში

დღეს ჰოლანდიის ქალაქ ბევერვეიკში იწყება ტრადიციული საახალწლო ტურნირი, რომელიც 18 იანვრამდე გაგრძელდება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 5 უცხოელი გროსმაისტერი და 5 ჰოლანდიელი მოჭადრაკე. მსოფლიო ექსჩემპიონი გროსმაისტერი მაქს ეიუე ასაკის გამო (59 წლის) ამჟერიდან ტურნირებში აღარ ითამაშებს.

ბევერვეიკის ტურნირის შემადგენლობა წელს ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ სეზონში. მასში გამოვლენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი, გროსმაისტერი ს. ფლორი, ცნობილი შვედი გროსმაისტერი გ. შტალბერგი, იუგოსლავიელი გროსმაისტერი ა. მატანოვიჩი და პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე, ისლანდიელი გროსმაისტერი ფ. ოლაფსონი.

აღსანიშნავია, რომ ბევერვეიკის შარშანდელი ტურნირი ფ. ოლაფსონის გამარჯვებით დამთავრდა. ჰოლანდიიდან შეჯიბრებაში გამოვლენ ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი გროსმაისტერი ი. დონერი და 4 ოსტატი.

საბჭოთა გროსმაისტერები შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 7 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა გროსმაისტერებმა ა. კოტოვმა და პ. კერესმა გუშინ სტოკჰოლმში გამართეს ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკში. ა. კოტოვი თამაშობდა 18 დაფაზე, პ. კერესი — 30 დაფაზე. გროსმაისტერ მ. კოტოვმა მოიგო 14 პარტია, ორი ყაიმით დაამთავრა და ორი წაგო. გროსმაისტერმა კერესმა მოიგო 22 პარტია, 6 ყაიმით დაამთავრა და 2 პარტია წაგო.

XXVII საჭადრაკო ჩემპიონატი

ამ დღეებში სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ განიხილა ჩვენი ქვეყნის XXVII საჭადრაკო პირველობის ფინალის მოწყობის საკითხი. დამტკიცებულია შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი, მთავარი მსაჯი, კალენდარი.

როგორც ცნობილია, XXVII პირველობის ფინალი ლენინგრადში მოეწყობა. იგი 25 იანვარს დაიწყება და ერთ თვეზე მეტს გაგრძელდება.

ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია შეჯიბრების მონაწილეთა ასეთი სია: გროსმაისტერები ი. ავერბახი, დ. ბრონშტეინი, ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი (მოსკოვი), ე. გულერი (ოდესა), პ. კერესი (ტალინი), ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი, მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი (მოსკოვი), ოსტატები ბ. გურგენიძე (თბილისი), ე. გუფელდი (ჩერკასკი), ნ. კროგიუსი, ა. ლუტიკოვი (ნოვოსიბირსკი), ვ. ლიბერზონი (მოსკოვი), ლ. ჰოლუბაევსკი (კუიბიშევი), ი. სახაროვი (კიევი), ა. სუეტინი (მინსკი), ლ. შამკოვიჩი (მოსკოვის ოლქი). მეოცე მონაწილე იქნება ი. ნეიისა (ტალინი) და ლ. შტეინის (ლვოვი) მატჩში გამარჯვებული.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დამტკიცებულია დამსახურებული ოსტატი პ. რომანოვსკი (მოსკოვი), ხოლო ფინალის მონაწილე პირველ კანდიდატად ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო).

ფეხბურთი ახალ სეზონში

მალე „ა“ და „ბ“ კლასის გუნდები დაიწყებენ წვრთნას, შეუდგებიან მზადებას სსრ კავშირის XXII ჩემპიონატისათვის. როგორც ცნობილია, ამ მასობრივ ასპარეზობაში, რომელიც მიმდინარე წლის 8 აპრილს დაიწყება და ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება, მონაწილეობას მიიღებს „ა“ კლასის 22 და „ბ“ კლასის 142 გუნდი.

„ა“ კლასის ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა (სამ-სამი გუნდი) გადამწყვეტი მატჩები ჩატარდება ორ-ორ ადგილზე — ერთ-ერთ ადგილზე ერთ ჯგუფში ერთ-ერთ ადგილზე — ორ ჯგუფში. ეს ადგილები ... ადგილებზე ... ადგილებს და ა. შ.

„ბ“ კლასში რსფსრ-ს 74 გუნდი გაიყოფა ... ერ ... ბ ... ბ ... ბ